

პროექტის რეზიუმე

გუნდის წევრები:

ანა თებელაშვილი
ვახტანგ მუსხელიშვილი
თინიკო კობიაშვილი
გეორგი ბერიძე
ანილო ზარიძე

“ციფრული სამზარეულო”

მოკლე აღწერა

“ციფრული სამზარეულო” წარმოადგენს პროექტს, რომელსაც გამოიყენებენ კომპანიები ოფისებისთვის. მისი დანიშნულებაა რომ საკვების შეკვეთა არ წარმოადგენდეს სირთულეს ყოველდღიურ რუტინულ საოფისე ცხოვრებაში და , რა თქმა უნდა, მთავარი, რაც კლიენტს, კომპანიების წარმომადგენლებს, მიიზიდავთ არის დროის ეკონომია .

განხორციელების გზები

ცხადია, ჩვენს გუნდს დასჭირდება თანამშრომლობა ისეთ კომპანიებთან როგორებიცაა Glovo, menu.ge, Wolt და ა.შ. მათ სურვისებთან იმუშავებენ ჩვენი გუნდის წევრები: თინიკო კობიაშვილი და გეორგი ბერიძე. ისინი გამოიყენებენ ისეთ ცნობილ და დახვეწილ ტექნოლოგიებს, როგორიცაა **Flask** და **Scrapy** framework-ები.

კლიენტს შევთავაზებთ user-friendly UI-ს , რომლის აგებაც დაევალებათ ჩვენი გუნდის ორ წევრს: ანილო ზარიძესა და ანა თებელაშვილს. შერჩეული ტექნოლოგია არის **JavaScript**-ის ბიბლიოთეკა **ReactJS** , რადგან მასზე შესაძლებელია როგორც WEB , ისე Mobile აპლიკაციების დაწერა (დროის საკმარისობის შემთხვევაში, მობაილ ვერსიასაც განვიხილავთ) და სხვა მრავალ უპირატესობასთან ერთად მას გააჩნია Native მიდგომა, მონაცემთა დაკავშირებულობა და იოლად გესტირებალობა.

მონაცემებთან აპლიკაციაში მონაცემებთან იმუშავებს ვახტანგ მუსხელიშვილი. იგი გამოიყენებს **Elastic Search**-ს კვების ობიექტების შესანახად, მომხმარებლის მონაცემების შესანახად კი

PostgreSQL-ს, რომლის უპირატესობებაცაა ჩაღმული აუდიტი, თავდაცვა Bruteforce-ისგან, რესურსების ლიმიტი, ავტორიზაციის წესები(password rules), დაცულობის სერტიფიკატი. ასევე გვაქვს JSON-ის მხარდაჭერა და ეშვება ნებისმიერ სისტემაზე.

მოსალოდნელი შედეგები

ჩვენი პროექტის რეალიზების შედეგად ველოდებით პროექტის განვითარებას სამი მთავარი მიმართულებით: სამზარეულო; ციფრული პროექტი (აპლიკაცია); მიგანის სერვისი. ვეცდებით რომ გვექონდეს უკეთესი შედეგი ყველა მიმართულებით, რაშიც დაგვეხმარება მომხმარებლის უკუკავშირი(Feedback). ვფიქრობთ, აპლიკაციით სამუშაო პროცესის მსვლელობას გაუმარტივებთ როგორც თანამშრომლებს, ასევე თვითონ კომპანიებს. მოსახერხებელს გავხდით საკვების შეკვეთის პროცესს, მომხმარებელს დავაზოგინებთ დროს, შევცვლით მოძველებულ სისტემებს(მათი არსებობის შემთხვევაში) და გამართლების შემთხვევაში დედაქალაქის გარდა ვცდით სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჩვენი პროექტის დანერგვას.